ომარ არდაშელია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.19

თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა ახალი კორონავირუსი და პანდემიები ფეოდალურ საქართველოში

(რეცენზია ზაალ ქორთუას ნაშრომზე)

აბსტრაქტი. სტატია ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და წარმოადგენს რეცენზიას შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ზაალ ქორთუას ნაშრომზე: „დაავადებათა ისტორიის საკითხის შესწავლისათვის ფეოდალურ საქართველოში“. რეცენზიის ავტორი განიხილავს თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს ახალი კორონავირუსის ვითარებაში და ქართველი მკვლევრის დაინტერესებას ფეოდალური ეპოქის საქართველოში არსებული მსგავსი პანდემიებისა და ეპიდემიების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო, გამოწვევები, ახალი კორონავირუსი, პანდემია, ეპიდემია, ფეოდალური საქართველო.

Omar Ardashelia[2]
Sokhumi State University

The Challenge of the Modern World New Corona Virus and Pandemics in Feudal Georgia - Review of Zaal Kourtua's Work

Abstract. The article is of a historiographic nature and is a review of the work of Professor Zaal Kortua from Shota Meskhia State University: "For the study of the history of diseases in feudal Georgia". The author of the review discusses the challenges of the modern world in the new coronavirus situation and the Georgian researcher's interest in similar pandemics and epidemics in feudal Georgia.
Keywords: World, challenges, new coronavirus, pandemic, epidemic, feudal Georgia.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებამ და კაცობრიობის განვითარებაზე მისმა უარყოფითმა შედეგებმა, საისტორიო სამეცნიერო საზოგადოებაში ადრეულ ეპოქებში მიმდინარე ეპიდემიებისა და პანდემიების

---

[1] **ომარ არდაშელია.** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი.
[2] **Omar Ardashelia**. Professor of Sukhumi State University. Head of International Relations Department.

მიმართ სამეცნიერო ინტერესი გააღვიძა. როგორი იყო დაავადებათა დინამიკა, როგორ აისახებოდა ის ქვეყნების საზოგადოებრივ - პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე, რა საშუალებებით უმკლავდებოდნენ ჩვენი წინაპრები მსგავს გამოწვევებს და ა. შ. აი, საკვლევი კითხვები, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას აინტერესებს.

საქართველო, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, ხშირად გამხდარა სხვადასხვა ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების არეალი, რაც უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით მდიდარი ინფორმაცია გვხვდება ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში, რომლებიც მოგვითხრობენ ისეთი დაავადებების გავრცელებაზე, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ მკურნალობის მაშინდელ მეთოდებსა და საშუალებებს. შესაბამისად, დაავადებული ადამიანების ერთი ნაწილი ეპიდემიების მსხვერპლი ხდებოდა.

საინტერესოა, რომ საქართველოში დაავადებების გავრცელების თავისებურებანი გარკვეულწილად დამოკიდებული იყო ქვეყნის გეოგრაფიულ, კლიმატურ და ბუნებრივ ფაქტორებზე, ქვეყანაში გამავალ სავაჭრო-საქარავნო გზებზე და გზაჯვარედინებზე, რომლითაც უამრავი ადამიანი სარგებლობდა და დაავადების გავრცელების რისკიც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებსაც საქართველოსგან განსახვავებული გეოპოლიტიკური არეალი ეკავათ. აღნიშნული გარემოებანი, ბუნებრივია ხელს უწყობდა ეპიდემიების გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში.

დღეს, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, დროულად მიგვაჩნია **პროფესორ ზაალ ქორთუას** სამეცნიერო ინტერესი აღნიშნული თემისადმი. მისი სტატია **„დაავადებათა ისტორიის საკითხის შესწავლისათვის ფეოდალურ საქართველოში“**, მთლიანად ფოკუსირებულია დასავლეთ საქართველოში წარსულში არსებულ ეპიდემიური ხასიათის დაავადებებზე. როგორც კვლევიდან ჩანს, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ყოფილა ფეოდალური ეპოქის საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ფონის პირობებში.

ისტორიულ მეცნიერებაში ნებისმიერი საკითხის შესწავლის და ანალიზისთვის საჭიროა საკითხის გარშემო არსებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის, როგორც მყარი არგუმენტაციის შესწავლა, რადგან დასაბუთებულად წარმოჩნდეს ავტორისეული ხედვა. ბუნებრივია, ადრეფეოდალურ ხანასთან შედარებით გაცილებით მდიდარი წყაროები მოგვეპოვება გვიანფეოდალური ხანის საქართველოს შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველო ,,იხსნება“

გარე სამყაროსთვის და განსაკუთრებით დიდი ინტერესი ჩანს, მოგზაურების, მისიონერების, მდიდარი ვაჭრებისა და სხვადასხვა იმპერიების მოხელეთა მხრიდან, შესაბამისად მათ თხზულებებში, ჩანაწერებსა და ანგარიშებში დეტალურად აისახა სხვადასხვა სახის ცნობები საქართველოს, მათ შორის დასავლეთ საქართველოს შესახებ. ეს მონაცემები აფართოებს გვიანფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეკონსტრუქციის შესაძლებლობებს. ქართულ წყაროებთან ერთად უცხოური წყაროების მონაცემები საშუალებას იძლევა სხვადასხვა რაკურსით იქნეს შესწავლილი სოციალური და ყოფითი პრობლემებიც კი, მათ შორის მედიცინის მდგომარეობა, დაავადებათა მკურნალობის წესები, ავადმყოფის მოვლის წესები, წამალთმცოდნეობის მდგომარეობა, სააფთიაქო ვითარება და ა. შ.

ფეოდალური ეპოქის სქართველოში ეპიდემიოლოგიური ვითარების ასახვის მიზნით პროფესორ ზაალ ქორთუას სტატიაში მრავალფეროვანი და მდიდარი მონაცემებია წარმოდგენილი. ამ მხრივ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მიერ შეგროვილ ისეთ ცნობებს, რომლებიც არ გვხვდება ქართულ ნარტიულ თხზულებებში. კათოლიკე მისიონერები, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დასავლეთ საქრთველოში სამედიცინო კუთხით შექმნილ რთულ ვითარებას, რომელიც მართლაცდა არასახარბიელო იყო და თანაბრად შეეხებოდა ყველა სოციალურ ჯგუფს. მართებულად მიგვაჩნია ავტორის შენიშვნა იმის თაობაზე რომ ,,მტრის შემოსევებისა და ომების შედეგად დანგრეულ ქვეყანაში ათასგვარი ავადმყოფობა მძვინვარებდა, ხოლო ექიმების დიდი დეფიციტი იყო. ასეთ ვითარებაში ჩამოსული ევროპელები - მისიონერები მკურნალობდნენ ავადმყოფებს შესაძლებლობის მიხედვით არა მარტო სამეფო (სამთავრო) კარზე, არამედ მოსახლეობაშიც. თეატინელი მისიონერები საქართველოში გვევლინებიან როგორც არა მარტო სასულიერო პირები, არამედ მკურნალ-ექიმებიც.“

ამასთან გვიანდა ავღნიშნოთ რომ თვით კათოლიკე მისისონერები უდავოდ ნიჭიერი და განსწავლული ადამიანები იყვნენ. ბევრმა მათგანმა ცხოვრების დიდი ნაწილი აქ გაატარა და საკმაოდ საინტერესო სახის დაკვირვებები, ჩანახატები და სხვადასხვა სახის მოგონებები დაგვიტოვეს იმდროინდელ საქართველოზე. დღეს ამ მასალებს პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროების ღირებულება გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია მკვლევრის გადაწყვეტილება, ვალიდურ და სანდო საისტორიო მტკიცებულებებად ჩათვალოს თეატინელთა მონაცემები ქვეყანაში არსებული ეპიდემიებისა და პანდემიების შესახებ. როგორც პროფ. ზაალ ქორთუა

აღნიშნავს ,,მათი ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც მთლიანად ქვეყანაში, სამედიცინო დარგში ძალიან მძიმე მდგომარეობა ყოფილა. თითქმის არ ყოფილან განათლებული ადგილობრივი მკურნალები, რის გამოც შეუძლებელი იყო ავადმყოფთა მკურნალობა და გადარჩენა.“ ეს არც უნდა იყოს გასაკვირი გამომდინარე იმ ეპოქის რთული ხასიათიდან და საქართველოს ირგვლივ შექმნილი მძიმე საერთაშორისო მდგომარეობიდან.

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ სამეგრელოს ერთ ერთ თავისებურებად და დაავადებების გავრცელების ხელმშემწყობ პირობად მისიონერები თვლიდნენ რეგიონის ნესტიან და ნოტიო ჰავას, რომელიც სხვადასხვა სნეულებების მაპროვოცირებელი ყოფილა და როგორც ავტორი აღნიშნავს „არ ინდობდა არავის“.

სტატიის პირველ ნაწილში ავტორი, სანდო საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, გვაძლევს საინტერესო ინფორმაციას, თუ როგორ და რა პირობებში უხდებოდათ კათოლიკე მისონერებს თავიანთი ცოდნის გამოყენება სამედიცინო თვალსაზრისით. უდავოა, რომ ეს ცოდნა ეყრდნობოდა მაშინდელ ევროპულ გამოცდილებას. ავტორს მოყავს სხვადასხვა ცნობები მისიონერთა საქმიანობის შესახებ, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ, როგორც დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლები, ასევე ფეოდალური კლასის - აზნაურები და დასავლეთ საქართველოს მეფე - მთავრები.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მედეას სამშობლოში ხალხური საშუალებებით მკურნალობის ხერხები და მეთოდები სრულად იგნორირებული ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულ ქვეყანაში მივიწყებული ყოფილა ათასწლეულობით დაგროვილი სამედიცინო ცოდნა, ან მასზე ხელი მხოლოდ ერთეულებს მიუწვდებოდა და მასიურად არ (ვერ) გამოიყენებოდა“. ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ ტრადიციული ცოდნა მივიწყებულ იქნა, არამარტო სამედიცინო სფეროში, არამედ ხელოვნებაში, კალიგრაფიაში, ფერწერის დარგებში, გაქრა ხელოსნობისა და მეურნეობის ისეთი დარგები, რომლებიც შთამომავლობით გადაცემულ ტრადიციულ ცოდნას ეფუძნებოდა. ეს გამოწვეული იყო საგარეო ფაქტორით - მუდმივი თავდასხმებისა და სიკვდილიანობის პირობებში იღუპებოდა ის საგვარეულოები, რომლებიც ამ ტრადიციულ ცოდნას ფლობდნენ და ვერ ასწრებდნენ ცოდნის თაობიდან თაობაზე გადაცემას.

სამედიცინო სფეროს მნიშვნელობა ესმოდა ადგილობრივ ხელისუფლებასაც, როგორც ზაალ ქორთუა აღნიშნვას ,,ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფალნი, ხედავდნენ რა ჯანდაცვის საქმის უნუგეშო მდგომარეობას, ცდილობ-

დნენ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აეყვანათ ეს დარგი და უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ სნეულთა მკურნალობაში.“ ავტორს ამასთან დაკავშირებით მოყავს სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის დამოკიდებულება მკურნელებისადმი. როგორც ჩანს, მთავარი „მედიცინის დარგის დიდი ხელშემწყობი და ქომაგი ყოფილა“.

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მკურნალობის მეთოდები და სამედიცინო მომსახურება ისეთ დაავდებებთან წინააღმედგ, როგორიც არის ციება რადიკალურად არ შეცვლილა არც რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ და ხშირად მისი მსხვერპლი, როგორც ისტორიული ფაქტები მოწმობენ, თვით დასავლეთ საქრთველოში დისლოცირებლი რუსული გარნიზონების წარმომადგენლებიც გამხდარან. ცხადია, ეს ფაქტი, რუსული ადმინისტრაციის შეშფოთებას იწვევდა. დასავლეთ საქართველოში არსებულ ვითრებას აღწერენ ის ევროპელი მოგზაურები, რომლებმაც მოინახულეს საქართველოს ეს მხარე და საკმაოდ დაწვრილებით აღწერეს ამ სფეროში არსებული ვითარება. ყველა ეს ცნობა პროფ. ზაალ ქორთუას სათანადო ადგილას დამოწმებული აქვს. სანდო საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ავტორი ცდილობს თვალი მიადევნოს რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებას და განახორციელოს ისტორიული სურათის სწორი რეკონსტრუქცია.

პროფესორ ზაალ ქორთუას სტატია ,,დაავადებათა ისტორიის საკითხის შესწავლისათვის ფეოდალურ საქართველოში“, ეყრდნობა სანდო საისტორიო წყაროებსა და ვალიდურ სამეცნიერო კრიტიკულ ლიტერატურას, რომელთა საფუძველზე ავტორი გვაძლევს გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში არსებული ეპიდემიებისა და დაავადებების შესახებ საინტერესო, რეტროსპექტული სახის მიმოხილვას. მიგვაჩნია, რომ სტატია აქტუალურია, ეხმიანება თანამედროვე გამოწვევებსა და პრობლემებს, შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე, გამართული სამეცნიერო აპარატითა და სქოლიოს სწორი გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქორთუა (2021) ზაალ ქორთუა, ეპიდემიათა ისტორიის საკითხის შესწავლისათვის ფეოდალურ საქართველოში კრ. „კრებსი“ №12-13, თბილისი;
ლამბერტი (1991) არქანჯელო მალბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი;